საზოგადოების განწყობა საქართველოში

2020 წლის ივნისის გამოკითხვის შედეგები

ჩატარებულია NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ

კვლევა ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის
UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით

რატომ ვატარებთ კვლევებს?

რათა ხელი შევუწყოთ ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე;

რათა დავეხმაროთ დაინტერესებულ მხარეებს ამოიცნონ და იზრუნონ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

- პოლიტიკური სფეროს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია ეხმარება მათ საქმიანობას და გამოთქვამენ სურვილს, კვლავაც გაგრძელდეს მსგავსი კვლევები;
- ინკლუზიური პროცესი: კვლევის კითხვარი შემუშავებულ იქნა პარტიებთან, ხელისუფლებასთან და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებთან კონსულტაციის შედეგად.

გამოკითხვის შესახებ:

- საველე სამუშაოების პერიოდი: 26-30 ივნისი, 2020
- 1,550 დასრულებული ინტერვიუ (35% გამოპასუხება, AAPOR სტანდარტების მიხედვით)
- საშუალო ცდომილების ზღვარი +/- 2%
- **შენიშვნა:** ცდომილების ზღვარი იცვლება სხვადასხვა კითხვის მიხედვით
- ახალი მონაცემების კვლევის წინა ტალღებთან შედარებისას გაითვალისწინეთ: **ინტერვიუს მეთოდის ცვლილება შესაძლოა ცდომილებაზე აისახოს.**

შერჩევა

- ყველა ინტერვიუ ჩატარდა **სატელეფონო გამოკითხვის** მეთოდით.
- რესპონდენტები მარტივი შემთხვევითი შერჩევის გზით - **შემთხვევით ნომერზე დარეკვის მეთოდით** შეირჩა.
- ინტერვიუები ჩატარდა ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.
- კვლევა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის წარმომადგენლობითია (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). გარდა ამისა, კვლევა წარმომადგენლობითია თბილისის, ურბანული და სოფლის ტიპის დასახლებებისთვის.

ხარისხის კონტროლი

- ყველა ინტერვიუერი გადის სპეციალურ ტრენინგს;
- კოორდინატორები CRRC-ის ცენტრალური ოფისიდან აწარმოებენ ინტერვიუერების მუშაობის ხარისხის კონტროლს.

ინფორმაცია ფოკუს ჯგუფების შესახებ

- **საველე სამუშაოების თარიღები:** 24-30 ივნისი, 2020
- **10 ფოკუს ჯგუფი 5 ქალაქში:** თბილისი, ზუგდიდი, ბათუმი, მარნეული, ახალქალაქი
- **2 ფოკუს ჯგუფი თითოეულ ქალაქში :** შერეული ასაკი, სქესი და დასაქმების სტატუსი
- **ჩატარდა ქართულად მოლაპარაკეებში**

მეთოდოლოგია

- **ფოკუს ჯგუფები ჩატარდა ონლაინ, Zoom-ის გამოყენებით.**
- მონაწილეთა შერჩევის ორი მეთოდი: 1) CRRC-ის კოორდინატორები მიდიან ქალაქის რამდენიმე ცენტრალურ ადგილას, შემთხვევითად აჩერებენ ადამიანებს და ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობას სთავაზობენ; 2) „თოვლის გუნდის“ მეთოდი.
- მონაწილეობა ნებაყოფლობითია.
- ფოკუს ჯგუფში დისკუსიას პროფესიონალი მოდერატორი უძღვებოდა, ღია კითხვებით შედგენილი გზამკვლევის გამოყენებით.
- ფოკუს ჯგუფები იწერება მონაწილეების თანხმობით. ანგარიშში მონაწილეთა ანონიმურობა დაცულია.

რატომ ეს საკითხი?

კორონავირუსთან დაკავშირებული სიცრუეში შემყვანი, შუღლის გამღვივებელი და ცრუ ინფორმაციის გავრცელება აძლიერებს შიშს და დაბნეულობას, რაც ხელს უწყობს:

- საზოგადოებაში ჯანდაცვის ზომების დაუმორჩილებლობას;
- პოლიტიკურ კონფლიქტს;
- საინფორმაციო სივრცის დაბინძურებას;
- არადემოკრატიული ძალების გაძლიერებას.

კვლევის მიზანია:

- დავეხმაროთ გადაწყვეტილების მიმღებ მხარეებს დეზინფორმაციასთან ბრძოლაში;
- დავეხმაროთ გადაწყვეტილების მიმღებ მხარეებს იზრუნონ მოსახლეობისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე;
- შევისწავლოთ კომუნიკაციის ეკოსისტემა და კორონავირუსთან დაკავშირებული მითები; ასევე ინფორმაციის მიღების ძირითადი არხები და სანდო წყაროები;
- შევისწავლოთ ევროკავშირისა და ნატო-ს მიმართ დამოკიდებულებები.

მთავარი მიგნებები

- მოსახლეობის უმეტესობას კორონავირუსის შესახებ გავრცელებული ცრუ ინფორმაცია აღელვებს, თუმცა ამავე დროს დარწმუნებულია, რომ ტყუილისა და სიმართლის გარჩევა შეუძლია.
- ლუგარის ლაბორატორიამ, რომელიც დეზინფორმაციული შეტევის ხშირი ობიექტია, მოსახლეობის უმრავლესობისგან პოზიტიური შეფასება დაიმსახურა. მოქალაქეების 66 პროცენტი ფიქრობს, რომ ლუგარის ლაბორატორიამ საქართველოში კორონავირუსის გავრცელებას ხელი შეუშალა.
- ევროპული და ევრო-ატლანტიკური კავშირების წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციის კამპანიების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობა კვლავაც მყარად უჭერს მხარს ევროკავშირსა (76 პროცენტი) და ნატო-ში გაწევრიანებას (69 პროცენტი).

მთავარი მიგნებები

- საინფორმაციო წყაროების სანდოობის კუთხით, მოსახლეობის 90 პროცენტი - დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრს, 85 პროცენტი - საქართველოს ხელისუფლებას, 73 პროცენტი - ჟურნალისტებს/მედიას, 66 პროცენტი - ადგილობრივ ხელისუფლებას, ხოლო 61 პროცენტი რელიგიურ ლიდერს/ეკლესიას ენდობა.
- საქართველოს მოსახლეობა კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას ძირითადად ტელევიზიიდან, სოციალური ქსელებიდან და ახლობლებისგან იღებს.
- კითხვაზე თუ რაზე დაყრდნობით წყვეტენ ფეისბუქზე კორონავირუსთან დაკავშირებული ინფორმაცია მცდარია თუ არა, მათი 61 პროცენტი ვინც კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას სოციალური ქსელებიდან იღებს ამბობს, რომ ინფორმაციის წყაროს ან მედია საშუალებას აკვირდება, ხოლო 37 პროცენტი საკუთარ ინსტიქტებს ენდობა.

მთავარი მიგნებები

- კვლევის თანახმად, მოქალაქეების 73 პროცენტი ფიქრობს, რომ ქვეყანაში ვირუსის შედარებით დაბალი გავრცელება მთავრობისა და ექიმების მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯების შედეგია, ხოლო 17 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეს ქართული გენეტიკისა და რელიგიის დამსახურებაა.
- მოსახლეობის 80 პროცენტი კვლავ ღელავს, რომ ის ან მისი ახლობელი კორონავირუსით დაინფიცირდება. თუმცა, ამის მიუხედავად, მოსახლეობის თითქმის ნახევარი (46 პროცენტი) ამბობს, რომ კორონავირუსის ვაქცინის არსებობის შემთხვევაში არ აიცრებოდა (38 პროცენტი აიცრებოდა).

ინფორმაციის წყაროები

ინფორმაციის წყაროები

ძირითადად რომელი წყაროდან იღებთ ინფორმაციას კორონავირუსის პანდემიის შესახებ? მაქსიმუმ 3 პასუხი (q1)



ინფორმაციის წყაროები

ძირითადად რომელი წყაროდან იღებთ ინფორმაციას კორონავირუსის პანდემიის შესახებ? მაქსიმუმ სამი პასუხი (q1 X ასაკის მიხედვით) ნაწილი 1



ნდობა ინფორმაციის წყაროების მიმართ

რამდენად ენდობით, ან არ ენდობით ინფორმაციას კორონავირუსის შესახებ, რომელსაც შემდეგი წყაროებიდან იღებთ ... ?(q2) - **99%-დან, ვინც კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას იღებს**



ინტერნეტის მოხმარება

რამდენად ხშირად იყენებთ ინტერნეტს? თქვენ ინტერნეტს იყენებთ ... (q3)

*წყვეტილი ხაზი მიუთითებს კვლევის მეთოდის ცვლილებაზე, პირისპირ გამოკითხვიდან სატელეფონო გამოკითხვაზე



ინტერნეტის მოხმარება

რამდენად ხშირად იყენებთ ინტერნეტს? თქვენ ინტერნეტს იყენებთ ... (q3 X დასახლებისა და ასაკის მიხედვით)



სოციალური ქსელების მოხმარება

რამდენად ხშირად იყენებთ სოციალურ ქსელებს როგორიცაა ფეისბუქი, ტვიტერი, ინსტაგრამი, ვკონტაქტე და სხვა? (q4) - **78%-დან, ვინც მოიხმარს ინტერნეტს**



სოციალური ქსელები და კორონავირუსი

რამდენად ხშირად იღებთ, თუ საერთოდ იღებთ, კორონავირუსის გავრცელების შესახებ ინფორმაციას სოციალური ქსელების საშუალებით? (q5) - **72%-დან, ვინც მოიხმარს სოციალურ ქსელებს და კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას იღებს**

ფოკუს ჯგუფის შედეგები

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ამბობდნენ, რომ ფეისბუქზე ნანახ ინფორმაციას არ ენდობიან, რადგან ის, როგორც წესი, მცდარია. ისინი კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის მიღებას ტელევიზიიდან ამჯობინებენ.



მობილური აპლიკაციები და კორონავირუსი

რამდენად ხშირად იღებთ, თუ საერთოდ იღებთ, კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას მობილური აპლიკაციების საშუალებით (როგორიცაა ვაიბერი, უოთსაფი და ა.შ.)? (q6) - **99%-დან, ვინც კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას იღებს**



ინფოდემია*



Getty image

* ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) ახალ კორონავირუსს მასობრივი ინფოდემია უწოდა, რაც ვირუსის შესახებ ჭარბი ინფორმაციის გავრცელებაში მდგომარეობს. ამ დიდძალ ინფორმაციულ ნაკადში ზოგი ამბავი სწორია, ზოგიც კი ტყუილი. ეს მოსახლეობას სანდო წყაროებისა და სარწმუნო რჩევების მოძიებას ურთულებს მაშინ, როცა ეს მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ.

რა არის პანდემიის დროს თქვენთვის ყველაზე დიდი გამოწვევა?

ფოკუს ჯგუფებიდან

კორონავირუსი - ტყუილ-მართალის გარჩევა

როდესაც კორონავირუსის შესახებ იღებთ ინფორმაციას, თქვენთვის ...

(q7) - 99%-დან, ვინც კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას იღებს



კორონავირუსი - ტყუილ-მართალის გარჩევა

კორონავირუსის შესახებ ბევრი ინფორმაცია ვრცელდება. თქვენი დაკვირვებით:
(q8) - **99%-დან, ვინც კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას იღებს**



კორონავირუსი - ტყუილ-მართალის გარჩევა

როდესაც კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას იღებთ ფეისბუქიდან, რაზე დაყრდნობით წყვეტთ, რომ მიღებული ინფორმაცია მცდარია/არასწორია? მაქსიმუმ 3 პასუხი (q9) -
65%-დან, ვინც კორონავირუსის შესახებ ინფორმაციას სოციალური ქსელებიდან იღებს



ციტატები

ფოკუს ჯგუფებიდან

“ფეისბუქზე წაკითხულ ინფორმაციას დიდად არ ვენდობოდი, მაგრამ მაინც ვკითხულობდი ყველაფერს. მაინტერესებდა, მაგრამ ნდობით არ ვენდობოდი იმიტომ, რომ ესე მეგონა რომ ყველაფერი ტყუილი იყო... უფრო მოსახლეობის რეაქციიდან და კომენტარებიდან გამომდინარე ვხვდებოდი რომელი იყო ტყუილი და რომელი მართალი.”

ქალი, 33 წლის, უმუშევარი, ბათუმი

“ტელევიზიის ინფორმაცია თუ იდო ფეისბუქზე მაგას ვენდობოდი, დანარჩენებს არც ვკითხულობდი, სულ ფეიქ ნიუსები იყო, არამარტო მაგ საკითხზე [კორონავირუსზე], ნებისმიერზე. თუ ტელევიზიასაც უდევს კი ბატონო.”

კაცი, 50 წლის, დასაქმებული, ახალქალაქი

“ბევრი ინფორმაცია რომელიც ინტერნეტშიც ვრცელდებოდა და პარალელურად ტელევიზიითაც ჟღერდებოდა, ვხვდებოდი რომ მისაღები იყო [...] რადგან ჩვენ ინტერნეტ მომხმარებლები ვართ, უკვე ბევრი რამე გვაქვს ნანახი, თუნდაც ფოტოები სხვადასხვა, თუნდაც ავადმყოფობების ფოტოები და რომ ვადარებდი ვხვდებოდი. მე ფოტოებით მივხვდი ერთ-ორ ინფორმაციაზე, რომ დეზინფორმაცია იყო.”

ქალი, 35 წლის, დასაქმებული, ახალქალაქი

კორონავირუსის წარმოშობა

თქვენი აზრით, კორონავირუსი ... (q17)



პანდემია საქართველოში

დღემდე, საქართველოში კორონავირუსის გავრცელების და სიკვდილიანობის შედარებით დაბალი მაჩვენებლებია. ჩამოთვლილთაგან რომელ მოსაზრებას ეთანხმებით? (q23)



ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან

“ჯერ ხომ დროულად იქნა მიღებული ყველა შეზღუდვა, მერე საგრძნობლად დიდი ჯარიმები იყო დაკისრებული და ამან განაპირობა, რომ მოსახლეობა სახლში დარჩა და შიშით უფრო აღარ გავრცელდა, თორემ ძალიანაც უნდოდათ სეირნობა.“

ქალი, 38 წლის, დასაქმებული, ახალქალაქი

“დროულად მოხდა პრევენცია. დაიკეტა საზღვრები, ფრენები აიკრძალა და არც ისე არაორგანიზებულები ვყოფილვართ ქართველები, დავემორჩილეთ ძირითადად და ამან გამოიღო თავისი შედეგი.

კაცი, 28 წლის, თვითდასაქმებული, თბილისი

“ეს იყო მთავრობისა და ექიმების სინქრონში მუშაობა, ექიმების მიერ სწორად შერჩეული პროტოკოლი და მკურნალობა და შეზღუდვები. მთავრობამ იმუშავა, ყველა აღიარებს ამას - უმაღლეს დონეზე. ”

კაცი, 55 წლის, დასაქმებული, ზუგდიდი

ლუგარის ლაბორატორია და პანდემია

თქვენი აზრით, ლუგარის ლაბორატორია ...(q10)



ლუგარის ლაბორატორია და პანდემია

თქვენი აზრით, ლუგარის ლაბორატორია ... (q10 X დასახლების მიხედვით)



ლუგარის ლაბორატორია და პანდემია

რამდენად მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელოა ლუგარის ლაბორატორია საქართველოში კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში? (q11) - **66%-დან, ვინც ფიქრობს, რომ ლუგარის ლაბორატორია კორონავირუსის გავრცელებას ხელს უშლის**



ციტატები

ფოკუს ჯგუფებიდან

„არა მგონია, რომ მსოფლიომ საქართველოს ნება დართოს, რომ ეს ბიოლოგიური იარაღი გააკეთოს ლუგარის ლაბორატორიაში, მაგრამ ერთს კიდევ ვაღიარებ და ვიტყვი, რო ძალიან მაგარი ლაბორატორია გვაქვს ეს ლუგარის სახით. რუსეთის, ალბათ, პოლიტიკური სვლა არის, რო საქართველო შეაძულონ სხვა ქვეყნებს ამით, რომ აი, იქ ბიოლოგიური იარაღი მზადდება და რამე."

კაცი, 41 წლის, უმუშევარი, ბათუმი

"მე გამიგია [ლუგარში ბიოლოგიური იარაღის შექმნის შესახებ], უბრალოდ ისევ ფეიქ ნიუსებიდან მაქვს წაკითხული, რომ ეს არის რუსეთის წინააღმდეგ შექმნილი რაღაცა ლაბორატორიაა. არ არის მართალი, სასაცილოდ მეჩვენება ეს."

ქალი, 44 წლის, დასაქმებული, ახალქალაქი

"გამიგია ტელევიზიიდან, რომ თითქოს რუსეთს აქვს ეჭვი, რომ მათ საწინააღმდეგოდ რაღაცა კეთდება, მაგარმ მე რატომღაც არ მგონია, მაგრამ თუ რამე გაკეთდება თანახმა ვიქნები."

კაცი, 66 წლის, თბილისი

ხალხური მედიცინა და კორონავირუსი

ზოგი ფიქრობს, რომ ხალხური მედიცინის საშუალებები (როგორიცაა ცხელი წყლის, არყის დალევა, ნივრის ჭამა და ა.შ.) ეფექტურია კორონავირუსისგან თავის დასაცავად და მის სამკურნალოდ. მიგიმართავთ თუ არა ხალხური მედიცინის რომელიმე საშუალებისთვის კორონავირუსისგან თავის დასაცავად ან მის სამკურნალოდ? (q18)



ციტატები ფოკუს ჯგუფებიდან

“ზოგადად, მე არ მიყვარს მედიკამენტების ესე ხმარება და ჩემს შვილებსაც ძალიან მარტივი, ხალხური მეთოდებით ვმკურნალობ, მაგრამ კორონავირუსი არ არის ის ვირუსი, რომ რაღაცა ცხელი ჩაით და იმით გავუმკლავდეთ.”

ქალი, 41 წლის, თვითდასაქმებული, თბილისი

“ხალხური მედიცინა ასეთი რთული ვირუსის წინააღმდეგ ვერაფერს გახდება ჩემი აზრით და არ მიმაჩნია სწორი, რომ ხალხურ მედიცინას მიმართო ასეთ დროს.“

ქალი, 21 წლის, დასაქმებული, მარნეული

“საბოლოო ჯამში, ცე ვიტამინი, ციტრუსი, [..] ნიორიც საბოლოო ჯამში, არაყიც, ამინო მჟავები, იმუნიტეტის აწევა არის მთელი ხალხური მედიცინა. ეხლა, ფილტვები თუ გათიშა და ბრონქები თუ დაკეტა და ასე შემდეგ, ეხლა ბულიონი არ გიშველის, მაგრამ სანამ დახრჩობამდე მიხვალ შეიძლება ალბათ რაღაც პრევენციის ჩატარება, არ ვიცი, ვერ გეტყვით დაზუსტებით.“

კაცი, 47 წლის, დასაქმებული, თბილისი

რწმენა და კორონავირუსი

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: „რწმენა იცავს ჩემი რელიგიის მორწმუნეებს კორონავირუსით დაინფიცირებისგან“. (q19)

მართლმადიდებლების მხოლოდ 10 პროცენტმა განაცხადა, რომ წელს ეკლესიაში სააღდგომო მსახურებას დაესწრო

რწმენა და კორონავირუსი

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: „რწმენა იცავს ჩემი რელიგიის მორწმუნეებს კორონავირუსით დაინფიცირებისგან“. (q19 X დასახლების, ასაკისა და სქესის მიხედვით)



რწმენა და კორონავირუსი

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: „რწმენა იცავს ჩემი რელიგიის მორწმუნეებს კორონავირუსით დაინფიცირებისგან“. (q19 X დაესწარით თუ არა წელს სააღდგომო მსახურებას ეკლესიაში?) **- 97%-დან, ვინც თავს რომელიმე რელიგიას მიაკუთვნებს**



დეზინფორმაციის გავრცელება

ფიქრობთ თუ არა, რომ რომელიმე უცხო ქვეყანა შეგნებულად ავრცელებს საქართველოში ცრუ ინფორმაციას/დეზინფორმაციას კორონავირუსის შესახებ? (q20)



დეზინფორმაციის გავრცელება

თუ დიახ, რომელი ქვეყანა? ყველა პასუხი (q21) - **29%-დან, ვინც ფიქრობს, რომ რომელიმე უცხო ქვეყანა შეგნებულად ავრცელებს კორონავირუსის შესახებ ცრუ ინფორმაციასა/დეზინფორმაციას**



ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს?

5G და კორონავირუსი

ხუთი ჯი (5G) ინტერნეტ ტექნოლოგიასა და კორონავირუსთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაცია ვრცელდება. ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით, რომ ხუთი ჯი (5G) ინტერნეტის ინფრასტრუქტურა დაკავშირებულია კორონავირუსის გავრცელებასთან? (q25)



5G და კორონავირუსი

ხუთი ჯი (5G) ინტერნეტ ტექნოლოგიასა და კორონავირუსთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაცია ვრცელდება. ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით, რომ ხუთი ჯი (5G) ინტერნეტის ინფრასტრუქტურა დაკავშირებულია კორონავირუსის გავრცელებასთან?
(q25 X დასახლების, ასაკის, სქესის მიხედვით)



5G და კორონავირუსი

ხუთი ჯი (5G) ინტერნეტ ტექნოლოგიასა და კორონავირუსთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაცია ვრცელდება. ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით, რომ ხუთი ჯი (5G) ინტერნეტის ინფრასტრუქტურა დაკავშირებულია კორონავირუსის გავრცელებასთან? (q25 X განათლების მიხედვით)



ფოკუს ჯგუფების მიმოხილვა

5G კონსპირაცია ყველაზე გაგონილი მოსაზრება იყო, თუმცა მონაწილეებს არ სჯეროდათ ამისი.

მონაწილეთა უმრავლესობას ვირუსის წარმოშობასთან დაკავშირებული კონსპირაციული თეორიების სჯეროდა, კერძოდ ის, რომ ვირუსი **გამიზნულად** შეიქმნა და გავრცელდა.

მონაწილეებმა მითებისა და ცრუ ინფორმაციების შესახებ ძირითადად **ნაცნობებისგან** მოისმინეს.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მიერ გაზიარებული ნარატივები (სმენიათ, თუმცა არ სჯერათ):

“მოხუცი ადამიანები ტვირთია და ვირუსი მათი რაოდენობის შესამცირებლად შეიქმნა“

“გამიგია, რომ იტალიას ევროკავშირის დატოვება სურს”

“ერთი ჩინელი ადამიანი სპეციალურად დადიოდა ხალხმრავალ ადგილებში და ცდილობდა ხალხისთვის ვირუსი გადაედო!“”

“რუსული მედია ამბობს, რომ ვაქცინა მიკრო-ჩიპს შეიცავს“

საგარეო დახმარება

თქვენი ინფორმაციით, დაეხმარნენ თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები საქართველოს კორონავირუსთან ბრძოლაში? (q24)



სილრმისეული ანალიზის შედეგები

ასაკი, შემოსავალი და განათლება ყველაზე კარგად პროგნოზირებს საქართველოში ცრუ ინფორმაციის მიმართ მედეგობას

მოსაზრება	ვინ შეიძლება დაიჯეროს?
კორონავირუსი ლაბორატორიაში შეიქმნა და გამიზნულად გავრცელდა	· კაცები · დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანები
რწმენა რელიგიურ ადამიანებს კორონავირუსით დაავადებისგან იცავს	· ასაკოვანი ხალხი · ეკლესიაში აქტიურად მოსიარულე ადამიანები · დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანები
საქართველოს წარმატება პანდემიის დროს ქართული გენეტიკისა და რელიგიის დამსახურებაა	· ეკლესიაში აქტიურად მოსიარულე ადამიანები · დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანები
5G დაკავშირებულია კორონავირუსის გავრცელებასთან	· განათლების დაბალი საფეხურის მქონე ადამიანები · სოფლად მცხოვრები ადამიანები

ევროკავშირისა და ნატო-ს მხარდაჭერა

ევროკავშირის მხარდაჭერა

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (q12)

*წყვეტილი ხაზი მიუთითებს კვლევის მეთოდის ცვლილებას, პირისპირი გამოკითხვიდან სატელეფონო გამოკითხვაზე



ევროკავშირის მხარდაჭერა და პანდემია

კორონავირუსის პანდემიაზე თუ დავფიქრდებით, როგორ შეცვალა ამ პანდემიამ თქვენი დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ? (q13)



ციტატები

ფოკუს ჯგუფებიდან

“ევროკავშირმა, რომელმაც ქმედითი დახმარების ნაბიჯი ვერ გადადგა იტალიისა და ესპანეთის მიმართ, ძალიან გთხოვთ, „რუსეთუმეობაში“ არ ჩამითვალოთ, და რუსეთმა უფრო პირველმა გადადგა იტალიის დასახმარებლად ნაბიჯი. ცოტა გაუარესდა კი არა, მკვეთრად გაუარესდა ჩემი დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ.”

ქალი, თვითდასაქმებული, თბილისი

“როგორ აზრზეც ვიყავი, ისევ ისეთ აზრზე ვარ. დადებითად ვარ განწყობილი ევროკავშირის მიმართ. საკმაოდ კარგი გაერთიანებაა. გვეხმარება კიდევაც შეძლებისდაგვარად.“

ქალი, 22 წლის, დასაქმებული, მარნეული

“მე დადებითი დამოკიდებულება მქონდა ევროკავშირის მიმართ და არ შემცვლია. რაც შეეხება გავრცელებას [...] აქ ისიც არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ტურისტულად მეტად ინტერაქტიური ზონაა ევროკავშირი და ძალიან ბევრი ტურისტი ჰყავს, ნუ საზღვრების სიდიდეც და ალბათ ეს ფაქტორებიც უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც ევროკავშირის „უსუსურობაზე“ ვლაპარაკობთ.“

კაცი, 20 წლის, დასაქმებული, ზუგდიდი

ნატო-ს მხარდაჭერა

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ნატო-ს წევრი? (q14)

*წყვეტილი ხაზი მიუთითებს კვლევის მეთოდის ცვლილებას, პირისპირი გამოკითხვიდან სატელეფონო გამოკითხვაზე



ევროკავშირის/ნატო-ს vs რუსეთის სარგებელი

გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (q15)



ევროკავშირის/ნატო-ს vs რუსეთის სარგებელი

გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (q15 X ასაკის მიხედვით)



მომავალი

მომავლის შესახებ

რამდენად ღელავთ ან არ ღელავთ, რომ თქვენ ან თქვენი ახლობელი კორონავირუსით დაინფიცირდებით? (q26)



მომავლის შესახებ

რამდენად ღელავთ ან არ ღელავთ, რომ თქვენ ან თქვენი ახლობელი კორონავირუსით დაინფიცირდებით? (q26 X დასახლების, ასაკისა და სქესის მიხედვით)



კორონავირუსის ვაქცინა

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა/აცრა რომ არსებობდეს, აიცრებოდით თუ არა თქვენ და თქვენი შვილები? (q27)



რატომ არიან ვაქცინის წინააღმდეგნი?

ფოკუს ჯგუფების მიხედვით

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა თანახმად:

- "ყველაფერი დამოკიდებულია **ვაქცინის ხარისხზე**, მის წარმომავლობაზე";
- "თუ პანდემია შენელდება, მაშინ **ვაქცინის საჭიროება აღარ იქნება**";
- "აცრა **სავალდებულო** თუ არ იქნება, ხალხი თავს შეიკავებს";
- "**მოვიცდი და დავაკვირდები.** ისეთი ვაქცინით აცრის მეშინია, რომელიც ახალია და დიდი ხანი არ არსებობს".

დემოგრაფია

რელიგია

რომელ რელიგიას ან აღმსარებლობას მიაკუთვნებთ თავს? (q31)



რელიგიურ მსახურებაზე დასწრება

განსაკუთრებული ღონისძიებების გარდა, როგორებიცაა ქორწინება ან გასვენება, რამდენად ხშირად ესწრებით რელიგიურ მსახურებას? (q32) - **97%-დან, ვინც რომელიმე რელიგიას მიაკუთვნებს თავს**



რელიგიურ მსახურებაზე დასწრება

განსაკუთრებული ღონისძიებების გარდა, როგორებიცაა ქორწინება ან გასვენება, რამდენად ხშირად ესწრებით რელიგიურ მსახურებას? (q32 X დასახლების, ასაკისა და სქესის მიხედვით) - **97%-დან, ვინც თავს რომელიმე რელიგიას მიაკუთვნებს**



სააღდგომო მსახურებაზე დასწრება

დაესწარით თუ არა წელს სააღდგომო მსახურებას ეკლესიაში? (q33) - **88%-დან, ვინც ქრისტიანულ რელიგიას მიაკუთვნებს თავს**



დასაქმება

ამ ჩამონათვალიდან, რა უფრო შეესაბამება თქვენს მდგომარეობას? გთხოვთ, შეარჩიეთ ის საქმიანობა, რომელიც თქვენთვის ძირითადია. (q34)



ენების ცოდნა

გთხოვთ, მითხრათ, როგორია თქვენი ცოდნის დონე შემდეგში: (q30)



NDI-CRRC კვლევები ხელმისაწვდომია:

- ➔ www.ndi.org/georgia-polls
- ➔ ww.caucasusbarometer.org